საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-822

ქ. თბილისი

04/06/2021

„შპს „ბაისან“-ზე-ცემენტის წარმოებაზე კლინკერისა და დანამატების დაფქვით ქ. გორში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №ი-370 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

2021 წლის 23 აპრილს სამინისტროს განცხადებით მომართა შპს „DREAM HILL HOSTEL“-ის (ყოფილი შპს „ბაისანი“) დირექტორმა და ითხოვა სამინისტროს მიერ 2010 წლის №47 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე გაცემული გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაუქმება.

2010 წელს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ შპს „ბაისანის“ ცემენტის დასაფქვავ მინი საამქროზე (ქ. გორი) გაიცა №47 (29.07.2010) ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა და გარემოზე ზემოქმედების ნებართვა. 2012 წელს შპს „ბაისანმა“ შეიცვალა საფირმო სახელწოდება და ჩამოყალიბდა შპს „DREAM HILL HOSTEL“-ის სახელით (იგივე საიდენტიფიკაციო კოდით), რაც დასტურდება სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერით.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ ნებართვით გათვალისწინებული საქმიანობა კომპანიას არ განუხორციელებია. შესაბამისად, იგი ითხოვს ნებართვის გაუქმებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შპს „DREAM HILL HOSTEL“-ის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ბაისან“-ზე-ცემენტის წარმოებაზე კლინკერისა და დანამატების დაფქვით ქ. გორში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2010 წლის 30 ივლისის №ი-370 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს შპს „DREAM HILL HOSTEL“-ს;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „DREAM HILL HOSTEL“-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი